№ 13
ოთხშაბათი, 17 იანვარი, 1901 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური
„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1901

ივერია

№ 13
ოთხშაბათი, 17 იანვარი, 1901 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვირას, 21 იანვარს, დიდუბის ეკკლესიაში გარდახდილი იქნება
წლის წირვა და პანაშვიდი

გიორგი ექვ. წერეთლისა.

მეუღლე მისი ანასტასია მიხეილის ასული წერეთლისა და შვილები: ელენე, ლევან და ირაკლი, აუწყებენ-რა ამას ნათესავთა და ნაცნობთ, სთხოვენ მობრძანდნენ დიდუბის ეკკლესიაში. წირვა დაიწყება დილის 10 საათზედ, პანაშვიდი 11½ საათზედ.

(3—უ—1)

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 18 იანვარს, 1901 წ.

ბენეფისი
ა. მ. კარგარელისა

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

ურიელ აკოსტა

ტრაგედია 5 მოქმედებად, გუცკოვისა, თარგ. ი. ბაქრაძის-მიერ.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: ჩერქეზიშვილი, კარგარელი, ნებიერიძისა, მდივანი, გარელი, ბ-ნნი: ვლ. ალექსი-მესხიშვილი, მესხი, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, კანდელაკი, ურუშაძე, ავალიანი, მირიანოვი, იმედაშვილი, იორდანოვი და სხვანი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. **დასაწყისი 8 საათზედ.**

რეჟისორი **მ. ზუნია**

მზადდება წარმოსადგენად **„იანიჩარი“, „მადამ-სანჟენი“.**

ქართულის მუსიკის მოყვარულთ განზრახვა აქვთ **წარმოადგინონ ქართულს ენაზედ ოპერა**

„დემონი“

რუბინშტეინისა, რომლის თარგმანიც უკვე მზად არის. რადგანაც ამ საქმეს ქართული ენის მცოდნე ხოროში მომღერლები სჭირია, ამისათვის სთხოვენ ქართულის სიმღერის მოყვარულს ყმაწვილ ქალებსა და კაცებს ნუ დაიზარებენ და ხოროში მონაწილეობა მიიღონ. რეპეტიციები ორშაბათობითა და ხუთშაბათობით არის დანიშნული ბ-ნ ცხომელიძესთან, საღამოს 7½ ს., კოჩუბეის ქუჩა, № 20. შეიძლება მიჰმართონ აგრეთვე ბ ნს ყარაევს: 1-ლი პარალელნი ქ. № 24, ფეოდოროვის სახლი. (3—უ—1)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ყ. ე. ჩიქოვანი. 9—10 სათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ქ. ი. ბძელიშვილი. 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. ნ. შაკოვსკი.—6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფთ (ელექტროთერაპ). და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.

ზ. ა. თარხანოვი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. არჲანიტაკი—11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардіана
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის
მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე
კვირა დღეების გარდა

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

ნ. ა. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

ი. პ ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—2-მდის.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 11—12 საათ.

ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

მ. ბ. ბეჟირგანოვი, შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ.

ვ. ლ. მარკევიჩი, საქირურგო.—12½—1½ საათ. სამშაბათობით 3—4.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 საათ.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ. ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მიხეილ გედევანიშვილი**

საერო განათლების სამინისტროსაგან

ჯერ ისევ წარსული წლის ივნისში ზოგიერთ უმაღლეს სასწავლებლების სტუდენტთა საიდუმლო საზოგადოებათა მიერ მოწვეულ იქმნა ოდესაში „სტუდენტთა საერთო კრება“, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ხსენებულ საზოგადოების „დელეგატებმა“ „მთელის რუსეთის სტუდენტობის მოქმედების“ საერთო გეგმის შესამუშავებლად. კრების ერთ სხდომაზედ დატუსაღებულ იქმნენ შეკრებილი „დელეგატები“ და ჩამოერთვათ მათ საბუთის ქაღალდები. ეს ქაღალდები, სხვათა შორის, შეიცავდნენ ცნობებს სტუდენტების აკრძალულ საზოგადოებათა, მათ რაოდენობისა და მიზნის შესახებ, აგრეთვე მათ მოღვაწეობის გეგმას და პროექტს საზოგადოებათა ერთ ცენტრალურ საზოგადოებად შეერთების შესახებ. ამ საზოგადოებას წინამძღოლობა უნდა გაეწია სტუდენტების საიდუმლო საზოგადოებათათვის. ეს ქაღალდები და პროექტი, სა

ფელეტონი

ფოტოთერაპია ანუ სინათლით მკურნალობა.

I

სულ არ იქნება ათი წელი, რაც შემოღებულ იქმნა მკურნალობაში სინათლის ხმარება, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, დღეს იგი ისე გავრცელდა, რომ ვერ იპოვით ვერც ერთს რიგიანად მოწყობილს საავადმყოფოს ევროპისა და რუსეთის ქალაქებში, სადაც იგი არ იყოს ხმარებული. სინათლით მკურნალობა დღეს გვერდში ამოუდგა სხვა ფიზიკურსა და ქიმიურს საშუალებათ მკურნალობისას, როგორც, მაგალითად, გიდროტერაპიას (წყალით-მკურნალობა), ელექტროტერაპიას (ელექტრონით მკურნალობა), სეროტერაპიას (შრატით მკურნალობა) და სხვათა, და თითქმის ჰლამობს კიდეც მომავალში დაჩრდილოს ეს საშუალებანი. სინათლით მკუნალობის აღორძინებას ხელი შეუწყო გამოჩენილმა რენტგენმა, რომელმაც 1891 წელს აღმოაჩინა სინათლის სპექტარში ეგრედ წოდებული უხილავი ქიმიური სხივები. ხოლო სინათლით მკურნალობის მამათ-მთავრად და უმთავრესს შემომღებად უნდა ჩაითვალოს კოპენჰაგენის პროფესორი—ფინზენი. ფინზენის უდიდესი ღვაწლი ის არის, რომ მან დაამყარა ფოტოტერაპია მეცნიერულს ნიადაგზედ, თორემ სინათლით მკურნალობა იმაზედ ადრეც იხმარებოდა და დღესაც მდაბიო ხალხი ჰხმარობს მას ზოგიერთ ავადმყოფობის დროს. ვიცით, რომ უძველესნი ეგვიპტელნი და ბაბილონელნი სახლების ბანებზედ ჰმართავდნენ ერთგვარ სასხდომებსა და საწოლებს, სადაც ათავსებდნენ უკურნებელის სენით შეპყრობილთ მზის სხივთა ზეგავლენის ქვეშე; ვიცით აგრეთვე, რომ მდაბიო ხალხი ურჩევს ქეცით შეპყრობილს მზეზედ ყოფნას; დრო-გამოშვებით ჩვეულებად გადაჰქცევია ხალხს გამზევება ტანისამოსისა, ლოგინისა და სხვა ნივთთა; ვიცით ისიც, რომ ცხენს, როდესაც ძალიან წაუხდება ზურგი, საძოვარზედ გაუშვებენ. აშკარაა, როგორც ჩვენი წინაპარნი, ისე დღევანდელი მდაბიო ხალხი ყოველ დღიურის ცხოვრებიდგან მიმხვდარა, ალლო აუღია მზის სხივთა ნაყოფიერის სხეულზედ ზეგავლენისა, ხოლო რომ ჰკითხო, ვერასოდეს ვერ აგიხსნის, ანგარიშს ვერ მოგცემს თავისის საქციელისას, ან მოგცემს პასუხს, ისიც იმისთანას, რომ უსათუოდ ღიმილს გამოიწვევს მისი პასუხი შეგნებულის ადამიანისას.

მაგალითად, ხალხის ჩვეულება—შემოსვა და მორთვა წითელიანის, ან ყვავილიანის ლოგინისა და ოთახისა წითელისა და ჭრელის ნაკუწებით—მეტად გონივრულია და თანახმაა თანამედროვე სამკურნალო შეხედულობისა, ხოლო როდესაც ჰკითხავ ამის მომქმედს შეუგნებელს ხალხს,—რა მნიშვნელობა აქვს ავადმყოფისათვის ამ გვარ მორთვა-მოკაზმვასაო, უსათუოდ შემდეგს პასუხს მოგცემს: კეთილი ანგელოზები მოვლენ ვითომ ავადმყოფთან და განკურნავენ, რადგან ანგელოზებს უყვართ წითელ-ყვითელი ფერიო. აი ამიტომაცაა, რომ სინათლით მკურნალობამ ამ უკანასკნელ დრომდე ვერ მოიპოვა მტკიცე ნიადაგი, ვერ გავრცელდა იგი, და ესკი მოხდა მხოლოდ მაშინ, როდესაც ექსპერიმენტალურმა კვლევა-ძიებამ გამოარკვია სხვა-და-სხვა თვისება სინათლისა, მისი სხვა-და-სხვა ნაირი ზეგავლენა სხეულზედ და სხვა მრავალი საჭირო საგანი. მხოლოდ ამის შემდეგ შეიქმნა შესაძლებელი გონივრული მოხმარება სინათლისა მკურნალობაში და, მართლაც, ამ დროიდგან ვხედავთ, რომ ფოტოთერაპია შესაფერს ალაგს პოულობს და მოქალაქობრივს უფლებას იძენს.

ვიდრე განვიხილავდეთ სხვა-და-სხვა ნაირ მოხმარებას სინათლისას სამკურნალო აზრით, საჭიროა, მაშასადამე, განვმარტოთ, თუ რა არის თვით სინათლე და რა ზედ მოქმედება აქვს მას სალს, ფიზიოლოგიურს სხეულზედ. მეცხრამეტე საუკუნის გამოკვლევათა წყალობით დღეს ვიცით, რომ სინათლე, ყველაგვარი, მზისა იქნება იგი, თუ სხვა რომელისამე ხელოვნურად შექმნილ მანათობელისა (ნავთი, გაზი, ელექტრონი და სხ.), არის ჯგუფი სხვა-და-სხვა ფერ და სხვა-და-სხვა თვისების სხივთა. ამას ნათლად დავრწმუნდებით, თუ სინათლეს გავატარებთ სამკუთხედიან ბროლის სხეულში, ანუ ეგრედ-წოდებულს პრიზმაში. მოპირდაპირე კედელზედ იმ ალაგს, სადაც პრიზმაში გავლილი სხივთა ჯგუფი დაეცა, ჩვენ დავინახავთ მშვენიერს ფერადს სურათს. მარცხენა მხრიდგან რომ დავიწყოთ, ამ გვარად იქნება გამწკრივებული ფერები: იის ფერი, ლურჯი, ცისფერი, მწვანე, ყვითელი, ზაფრანის ფერი და წითელი. მაშასადამე, სინათლე ბროლის პრიზმას დაურღვევია შვიდ შემადგენელ ნაწილად, ან ფერად სხივებად. ამ შვიდ ფერად დანაწილებულს სხივთა ჯგუფს ფიზიკაში უწოდებენ სპექტარს. რენტგენმა 1891 წელს დაამტკიცა, რომ ამ ფერადის სპექტარის გარეშე ჩნდებიან, როგორც შედეგი ბროლის პრიზმით დარღვევისა, კიდევ სხვა გვარი სხივები, უხილავნი, დაფარულნი, სახელდობრ, სპექტარის მარჯვენა მხარეზედ, ანუ წითელის ფერის გვერდით იმყოფება სითბოს გამომცემი სხივები და მარცხენა მხარეზედ, ანუ იის ფერის გვერდით—ქიმიური სხივები. ჩვენ თვალთათვის თუმცა უხილავნი არიან ეს სპექტარის-გარეშე სხივები, მაგრამ მათ არსებობაში ჩვენ ვრწმუნდებით ჩვენის სხეულის სხვა ორგანოების საშუალებით, მაგ. სითბოს სხივები გამოიწვევენ სითბოს და, მაშასადამე, გვაგრძნობინებენ სითბოს, ქიმიური სხივები კიდევ მეტად ჰმოქმედებენ ჩვენს ნერვებზედ; ამასთანავე ქიმიურს სხივებს აქვთ თვისება განვლონ ადამიანის ყოველ რბილ ნაწილში, მხოლოდ ძვლები და გარეშე საგნები იმაგრებს ამ სხივებს. ქიმიურ სხივების ამ თვისებაზედ არის დამყარებული დღეს მათი მოხმარება ხირურგი-

ვნო პოლიტიკურ მიზნის გარდა, რომელიც, როგორც ქაღალდებშია ნათქვამი, არ უნდა იცოდეს სტუდენტთა უმრავლესობამ, „რადგანაც ამ უმრავლესობას ეშინიან ყოველგვარ პოლიტიკისა“, სტუდენტების საზოგადოებათა მიზნად ასახელებენ, სხვათა შორის, ყოველგვარ პროტესტის გამოცხადებას საუნივერსიტეტო, საზოგადო და საპოლიტიკო მოვლენათა გამო, და სტუდენტების აჯანყებათა საქმის მოწყობას. თუმცა, როგორც უკვე იყო ნათქვამი, კრების წევრნი დატუსაღებულ იქმნენ, მაგრამ ბევრ უმაღლეს სასწავლებელში რამდენჯერმე მაინც სცადეს კრების პროგრამის განხორციელება მიმდინარე სასწავლო წლის დასაწყისიდგან და ბევრგან არეულობანი მოხდა და პროტესტი გამოაცხადეს სხვა-და-სხვა მოვლენათა გამო, რომელთაც არავითარი კავშირი არა ჰქონდათ სასწავლებელთან. ყველაზედ მეტად ამგვარმა არეულობამ თავი იჩინა კიევის წმ. ვლადიმირის უნივერსიტეტში, სადაც დეკემბრის დამდეგს მოხდა დიდი კრება, რომელზედაც სტუდენტებმა გადასწყვიტეს—შესწყვიტონ შობა ახალ-წლის დღესასწაულების შემდეგ სწავლა იმ შემთხვევაში, თუ მათი მოთხოვნილებანი დაკმაყოფილებული არ იქნება.

მოძრაობა კიევის სტუდენტთა შორის ოქტომბერში დაიწყო. ამ მოძრაობის დასაწყისი მიზეზი იყო ლექციები ერთის პროფესორისა. ეს პროფესორი ლექციებს, ფაკულტეტის მინდობილობით, კითხულობდა მეორე პროფესორის ნაცვლად, რომელიც საზღვარ-გარედ წავიდა. სტუდენტებმა უკმაყოფილება განაცხადეს ამ ცვლილების გამო და დაიწყეს მოლაპარაკება იმის შესახებ, რომ არ იარონ ამ, მათთვის არა-სასურველ, პროფესორის ლექციებზე და ეცადნენ სხვა პროფესორის დანიშვნას. ინსპექციისა, ფაკულტეტის მდივნისა, დეკანისა და უნივერსიტეტის რექტორის დარიგების მიუხედავად, სტუდენტების მოძრაობა თანდათან იზრდებოდა, ასე რომ ოქტომბრის დამლევს გაიმართა ყრილობები და დემონსტრაციები, რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ სხვა კურსებისა და სხვა ფაკულტეტების სტუდენტებიც-კი. ეს მოძრაობა შეჩერდა, გარეგნობით მაინც, მხოლოდ მაშინ, როდესაც ხსენებულმა პროფესორმა თავი დაანება ლექციების კითხვას; მაგრამ ეს შეჩერება დროებითი აღმოჩნდა. 13 ნოემბერს კვლავ მოხდა მრავალ-რიცხოვანი კრება, რომელსაც 700 სტუდენტამდე დაესწრო. ამ კრებას სხვა საგანი ჰქონდა, სახელდობრ: გაესამართლებინა საქციელი ერთის სტუდენტისა, რომელსაც იმდენად ცუდი საქმე ჩაედინა ქუჩაში, რომ ადგილობრივმა გაზეთებმაც-კი აღნიშნეს. რაკი სტუდენტების დაწყნარებას ამაოდ შეეცადა ინსპექტორის თანაშემწე, რომელიც სტუდენტებმა აუდიტორიიდგან სტვენით და მუქარით გამოაგდეს, თვით ინსპექტორი შევიდა დაკეტილ აუდიტორიაში; მაგრამ სტუდენტობა მასაც მტრულად მიეგება პირველ ხანს. ინსპექტორმა, აუხსნა-რა სტუდენტებს მათი უკანონო მოქმედება და აუწყა-რა, რომ ცუდის საქციელის ჩამდენი სტუდენტი თავის-თავად მიდის უნივერსიტეტიდგან, აგრეთვე ის, რომ იმ სხვა სტუდენტების შესახებ, რომელთაც ჰბრალდებათ ცუდი საქციელის ჩადენა, გამოძიება სწარმოებსო, დიდის მეცადინეობის შემდეგ, დააწყნარა სტუდენტები, და ესენიც, ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ, დაიშალნენ, თუმცა კრებისა და არეულობის მეთაურნი სცდილობდნენ მათ შეჩერებასა და კრების გადატანას სხვა აუდიტორიაში. გაჯავრებულებმა ამით, მეთაურებმა მეორე დღესვე, 15 ნოემბერს, გამართეს ახალი კრება, რომელსაც დაახლოვებით იმდენივე სტუდენტი დაესწრო, რაც პირველს, მაგრამ ეს კრება იმდენად მაგრა იდგა თავისაზედ, რომ ინსპექციამ ვეღარ მოახერხა სტუდენტების დაწყნარება. დაჰყვეს-რა აუდიტორიაში ორი საათი, სტუდენტები ყვირილით, სტვენით და სიმღერით კორიდორში გავიდნენ; ბრბო იმდენად მიეცა თავდავიწყებას, რომ არ მისცა შეძლება, რექტორს ეთქვა რამე. კრება დაიშალა მხოლოდ მაშინ, როდესაც მეთაურებმა ნება მისცეს, მასთან ზოგიერთი მეთაური მადლობასაც-კი უხდიდა სტუდენტებს „დღევანდელ დღის გამარჯვებისათვის“. კრების უმთავრესი მეთაურნი, რომელნიც საკმაოდ საჯაროდ მოქმედებდნენ, ინსპექციამ შენიშნა და ჩასწერა მათი გვარები; სამოსწავლო ოლქის მზრუნველის განკარგულებით, ისინი გადაეცნენ უნივერსიტეტის გამგეობის სამართალს. ამის შემდეგ სტუდენტები თითქმის დამშვიდნენ და სწავლა დაუბრკოლებლივ სწარმოებდა. უნივერსიტეტის გამგეობამ, სახეში მიიღო რა ეს დამშვიდება სტუდენტებისა, 2 დეკემბრის სხდომაზე შესაძლებლად დაინახა ლმობიერად მოჰპყრობოდა დამნაშავე სტუდენტებს: ოთხს უმთავრესს დამნაშავე სტუდენტს მიუსაჯა კარცერში დამწყვდევა 5-დან 2 დღემდე, დანარჩენთ-კი ზოგს საყვედური გამოუცხადა, ზოგსაც მოუსპო ერთის წლით სხვა-და სხვა შეღავათი. მაგრამ ეს განაჩენი შემდეგ არეულობათა მიზეზად შეიქმნა.

ორმა სტუდენტმა იმათთაგან, რომელთაც კარცერში დამწყვდევა გადაუწყვიტეს, არ ისურვეს სასჯელის გარდახდა და მოიწვიეს სტუდენტების კრება მეორე დღის 12 საათისათვის. რადგანაც დანიშნულ დროზე, ინსპექციის განკარგულებით, დიდი აუდიტორია, რომლებშიაც მოსალოდნელი იყო კრების მოხდენა, დაკეტილ იქმნა, ამიტომ კარიდორში მოგროვილი სტუდენტები შეეცადნენ სხვა აუდიტორიებში შესვლას, სადაც ამ დროს ლექციებს კითხულობდნენ. მაგრამ, რადგანაც სტუდენტებმაცა და პროფესორებმაც დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს, ისინი მეორე სართულში გადავიდნენ, ჩაამტვრიეს კარებები და ძალით შევიდნენ დაკეტილ აუდიტორიებში; ამასთან ერთმა სტუდენტმა ზარიც დარეკა ლექციების შესაწყვეტად, თუმცა მათ გათავებამდე 20 წუთი რჩებოდა, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია.

ჯერ ისევ კრების დაწყებამდე რექტორმა მიიწვია ის 2 სტუდენტი, რომელთაც უარი განაცხადეს განაჩენის აღსრულებისა, და აუხსნა მათ, რომ კანონის ძალით, ისინი გამორიცხულ იქნებიან უნივერსიტეტიდგან, რადგანაც არ ჰსურთ განაჩენის ასრულება; მაგრამ გაფრთხილებამ არაფერი გავლენა არ იქონია ამ სტუდენტებზე. მაშინ რექტორმა გამოუცხადა მათ, რომ გამორიცხული ხართ და მოსთხოვა უნივერსიტეტის ბილეთების დაბრუნება და უნივერსიტეტიდგან წასვლა. მოისმინეს-რა ეს განკარგულება, ერთი მათგანი წავიდა კრებაზე. მეორე-კი ჯერ გავიდა უნივერსიტეტის შენობიდგან, მაგრამ მალე დაბრუნდა უკან რამდენსამე ამხანაგით და შევიდა კრებაზე, სადაც აღტაცებით მიეგებნენ.

კრებაზე ლაპარაკი ჰქონდათ იმის შესახებ, რომ გაგზავნილ იქმნან დელეგატები სხვა უნივერსიტეტებში და მფარველობა აღმოუჩინონ „უდანაშაულოდ დასჯილ“ ამხანაგებს, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს 15 ნოემბრის კრებაში. ბოლოს კრებამ, რომელსაც 250-მდე სტუდენტი დაესწრო, დაადგინა: მოსთხოვოს უნივერსიტეტის გამგეობას განაჩენის გაუქმება და უკანვე მიღება იმ ორ სტუდენტისა, რომელნიც დათხოვნილ იქმნენ განაჩენის აუსრულებლობისათვის; ხოლო, თუ ეს თხოვნა ასრულებული არ იქმნა, შეწყვიტოს წავლა დღესასწაულების შემდეგ. დაადგინეს-რა ესა, სტუდენტებმა გაგზავნეს დეპუტატები და სთხოვეს რექტორს კრებაზე მოსვლა, მაგრამ რექტორმა გამოუცხადა დეპუტატებს, რომ ვერ მოვალ სტუდენტებთან, რომელნიც არ ასრულებენ ჩემს განკარგულებასაო. ამის შემდეგ სტუდენტებმა დაჰყვეს აუდიტორიაში კიდევ ნახევარი საათი და დაიშალნენ; ამასთანავე გადასწყვიტეს გააცილონ გამორიცხული ამხანაგები, რომელნიც იმავე დღეს აპირებდნენ კიევიდგან წასვლას. მართლაც, გვიან საღამოზედ 300 სტუდენტი და რამდენიმე ქალი შეიკრიბნენ სადგურზე და დემონსტრატიულად გააცილეს ხსენებული სტუდენტები. გამოთხოვებისას ერთი გამორიცხული სტუდენტი ურჩევდა სტუდენტებს, ნუ შესწყვეტთ არეულობას და, სანამ შესაძლებელი იქნება, მხნედ მოიქეცითო.

არეულობანი ამით არ დასრულდა. 7 დეკემბერს, შუადღის 12 საათზე, კვლავ მოხდა დიდი კრება იმავე აუდიტორიაში, რომელზედაც სტუდენტებს სჯა ჰქონდათ ისევ უნივერსიტეტის გამგეობის განაჩენის გაუქმებისა და გამორიცხულ ამხანაგების დაბრუნების შესახებ. როგორც წინანდელი კრება, ესეც მეტად თავდაუჭერელი და შფოთიანი იყო. ხანგრძლივის კამათის შემდეგ, რომელმაც $2\frac{1}{2}$ საათი გასტანა, კრებამ კვლავ გაგზავნა დეპუტატები რექტორთან კრებაზედ მოსაწვევად და სტუდენტების დადგენილების მოსასმენად. რექტორმა უარი გამოუცხადა დეპუტატებს და აუხსნა სრული უსაფუძვლობა მათის მოთხოვნილებისა; მაგრამ ყოველი მისი დარიგება ამაო იყო. დეპუტატებმა უპასუხეს რექტორს, რომ სტუდენტები მანამდე არ დაიშლებიან, სანამ ის მათთან არ მივა, გინდაც ამისთვის მთელი დღე და ღამე მოუხდეთ უნივერსიტეტში დარჩენა.

მანამ ეს კრება იყო, ლექციების კითხვა სხვა შენობებში ჩვეულებრივად სწარმოებდა. ლექციების წაკითხვის შემდეგ, ინსპექციამ განკარგულება მოახდინა და უნივერსიტეტის ყველა შესასვლელი კარებები დაკეტა, მაგრამ მსურველთ ნება მისცა თავისუფლად გასულიყვნენ შენობიდგან, დაბრუნება-კი აეკრძალათ. ამიტომ, შემდეგ, როცა წასულ სტუდენტების ერთი ჯგუფი, 15 კაცამდე, ხელახლად დაბრუნდა და თან მოიტანა სხვა-და-სხვა სანოვაგე, ისინი აღარ შემოუშვეს; მაგრამ ამ დროს, უნივერსიტეტში დარჩენილებმა გამოამტვრიეს ერთი შემოსავალი კარები და შეუშვეს ამხანაგები. ამ კარებთან სტუდენტებმა დარაჯები დააყენეს და დაუბრკოლებლივ ღებულობდნენ ამის შემდეგ სანოვაგეს. როცა

აში ანუ დოსტაქრობაში; მათის წყალობით შესაძლებელია დღეს პოვნა სხეულში სხვა-და-სხვა გვარ გარეშე ნივთთა, მაგ. ტყვიისა, უნებლიედ ჩაყლაპულის საგნისა და სხვათა, რაიცა მეტად აადვილებს ამ გვარად დაზიანებულთა მორჩენას. ჩვენ აქ აღარ გამოვუდგებით იმის გარდმოცემას, თუ რა საშუალებით აღმოაჩინა რენტგენმა ეს უხილავი სხივები, ჩვენთვის საჭიროა ჯერ-ჯერობით ვიცოდეთ, რომ სინათლე, რომელიც ჩვენ აქამდე მარტივ მოვლენად მიგვაჩნდა, ყოფილა შემდგარი სამის უმთავრესის ნაწილისაგან, შუაში ფერადის სპეკტარისაგან და გვერდებზედ ქიმიურის და სითბოს სხივებისაგან. ვნახოთ ეხლა, თუ როგორ მოქმედობს სინათლე სხვა-და-სხვა გვარ მარტივ და რთულ ცხოველთა სალს სხეულზედ.

ენგელმანმა *) საცდელად აიღო უუმარტივესი ცხოველი—Pelomyxa palustris—რომელიც ერთის უჯრედისაგან შესდგება და, მაშასადამე, არა შეიარაღებულის თვალით ძნელი დასანახავია. ამ არსებას თუ თვალ-მადიდით, ანუ მიკროსკოპით გავსინჯავთ, შევამჩნევთ ტარის მსგავს ფორმას, რომელსაც თხელი კანი ანუ გარსი აქვს შემორტყმული, შინაგანი-კი სავსეა გამჭირვალის სითხით, რომელშიაც დამოძრაობენ პაწია მარცვლები. ენგელმანმა სინჯა მიკროსკოპით ეს არსება ორ სხვა-და-სხვა გარემოებაში: როდესაც მზის სხივებისაგან დაიფარავდა, მაშინ ამჩნევდა თავისუფალს მოძრაობას მარცვლებისას და აგრეთვე ტარის მსგავსს ფორმას, ხოლო როდესაც მზის სხივებს მიაყენებდა, მაშინ მარცვლებიც ჩერდებოდნენ და თვით Pelomyxa-ც იკუმშებოდა, რგვალს ფორმას ღებულობდა.

უსკოვმა სწორედ ამისთანავე ცდა მოახდინა, მხოლოდ საცდელად აიღო არა მთელი არსება, არამედ ნაწილი ანუ ელემენტი რთულის სხეულისა, ე. ი. ბაყაყის სისხლი, რომელშიაც, როგორც ვიცით, იმყოფებიან ეგრედ წოდებული წითელი და თეთრი სისხლის ბურთულები. ეს სისხლის ბურთულები ისეთივე ცოცხალი არსებანი არიან, როგორც Pelomyxa palustris, განსხვავება მარტო ის არის, რომ უკანასკნელი დამოუკიდებელს მთელს არსებას წარმოადგენს, პირველი-კი შემადგენელი ნაწილია რთულის სხეულისა და აღმასრულებელი ერთის განსაზღვრულის ფუნქციისა. აქაც ასეთივე მოვლენა აღმოაჩინა უსკოვმა, როგორც პირველში ენგელმანმა, ე. ი. მზის სხივების მიყენების დროს წითელი და თეთრი ბურთულები თითქოს მოძრაობას ჰკარგავდნენ, იკუმშებოდნენ. ეს გარემოება გვაგონებს ჩვენ ადამიანის მდგომარეობას, როდესაც ბნელის ოთახიდგან გარეთ გამოვა და პირისახეს ჰფხუწავს, ნამეტნავად თუ მზეს შეჰხედავს; აქ ადამიანი ჰხმარობს ხელს, ქუდს და სხვას, რათა თავი დაიფაროს მზის სხივთა სუსხის ზედ-მოქმედებისაგან. მაშასადამე, ყველა ცხოველი არსება, დაწყებული უუმარტივესის Pelomyx-იდგან და დამთავრებული უურთულესის ადამიანით, მგრძნობიარე ყოფილა სინათლის სხივთა ზედ-მოქმედებისა.

ამის შემდეგ საჭირო იყო იმის გამოკვლევა, თუ სინათლეში როგორ ჰწარმოობს ზრდა-განვითარება სხეულისა და სიბნელეში—როგორ. ამის შესახებ მოახდინა საინტერესო ცდები ედვარდმა. ამან აიღო საცდელად ბაყაყის კვერცხები და მოათავსა ერთი წყება ერთს შუშის ჰურჭელში და ზედ წააფარა ხელსახოცი, მეორე წყება—მეორე შუშის ჰურჭელში, რომლისთვისაც არაფერი წაუფარებია და, მაშასადამე, სინათლის სხივები თავისუფლად მიადგებოდა. რამდენისამე დღის შემდეგ ედვარდმა გასინჯა ორივე ყუთი და აღმოჩნდა, რომ სინათლეში მყოფი კვერცხები ყველა გამოჩეკილიყო, სიბნელეში მყოფთ-კი არც ერთს არ მოეცა ნაყოფი. ამასთანავე ცდა მან გაიმეორა. მხოლოდ საცდელად კვერცხების მაგიერ აიღო უკვე გამოჩეკილი ბაყაყები ანუ თავკომბალები *). ნახა რამდენისამე ხნის შემდეგ თავის ყუთები და აღმოჩნდა, რომ სინათლეში მყოფი თავკომბალები ყველა გადაქცეულიყო ბაყაყად, სიბნელეში მყოფი-კი არც ერთი. ამ ცდიდგან, რასაკვირველია, ის დასკვნა გამოდის, რომ სინათლე ხელს უწყობს ცხოველის ზრდა-განვითარებას, სიბნელე-კი ჰვნებს, ხელს უშლის.

მაგრამ, როგორც ვიცით, სინათლე არის რთული მოვლენა და შესდგება სამის უმთავრესის ნაწილისაგან და აი, საჭირო იყო იმისი გაგება, თუ როგორ ჰმოქმედებენ სინათლის სხვა-და-სხვა ნაწილები სხეულზედ, არის რამე განსხვავება მათ შორის, თუ ყველა ერთნაირად ჰმოქმედებს სხეულზედ. ამის გამოსარკვევად მრავალი ცდა იქმნა მოხდენილი შნეტცერისა, ბეკლარისა, ჰამონდისა, პლეაზონტისა და სხვათა მკვლევართა მიერ. პირველმა აიღო ბაყაყის კვერცხები და მოათავსა—ერთი წყება შუშის თეთრ-ფერ ჰურჭელში, მეორე წყება—მწვანე ფერის ჰურჭელში; რამდენისამე დღის შემდეგ ჰნახა და აღმოჩნდა, რომ თეთრის ჰურჭლის ყველა კვერცხებიდგან გამოჩეკილიყვნენ თავკომბალები, რომლებიც ორის თვის შემდეგ 4 სანტ. სიგრძისანი შეიქმნენ, მწვანე ფერისაში-კი თუმცა გამოჩეკილიყვნენ, მაგრამ ორის თვის შემდეგ მათი სიგრძე 2 სანტიმეტრს არ აღემატებოდა; ამასთანავე პირველთ გაეკეთებინათ ფეხები, მეორეებს-კი ჯერ არა; თვე-ნახევრის შემდეგ შნეტცერმა ხელ-ახლად გასინჯა და აღმოჩნდა, რომ თეთრი ჰურჭლის თავკომბალები ყველა ბაყაყებად გადაქცეულიყვნენ, მწვანისა-კი,—არც ერთი. ბეკლარმა აიღო ხორცის ბუზის კვერცხები, რომელსაც ხრსილს ვეძახით, და მოათავსა სხვა-და-სხვა ფერად მიდამოში, სახელდობრ,—ერთი წყება იისფერ ჰურჭელში, მეორე წყება—წითელ ფერ ჰურჭელში, მესამე—მწვანეში, და მოლოს, როდესაც რამდენისამე დღის შემდეგ გასინჯა, ჰნახა, რომ იისფერ ჰურჭელში გამოჩეკილი ბუზის ჭიები გაზრდილიყვნენ, მწვანესა და წითელში კი შეჩერებულიყო მათი ზრდა. ჰამონდმა ამისთანავე ცდა მოახდინა კნუტებზედ, პლეაზონტმა—გოჭებზედ და ამათაც ისევე შედეგი მიიღეს, რაც პირველებმა, ე. ი. ის ნაწილი სპეკტარისა, რომელიც ქიმიურს სხივებს მიუახლოვდებოდა (ცის ფერი, იის ფერი, ლურჯი), ხელს უწყობდა სხე-

---

*) ცნობები სინათლის სალს სხეულზედ გავლენის შესახებ ამოვკრიბეთ ცეხანოვსკის წერილიდგან „Медиц. Обозрѣніе“ 1898 წ., მარტის თვისა.

*) ბაყაყის კვერცხიდგან იბადება ჯერ თავკომბალა, რომელიც მხოლოდ რამდენისამე ხნის შემდეგ გადაიქცევა ბაყაყად.

შებინდდა, აანთეს აუდიტორიაში მიტანილი სანთლები, ყვიროდნენ და მღეროდნენ. უწესობა თან და თან ძლიერდებოდა და ბოლოს იმ ზომამდე მივიდა, რომ ინსპექციასა და უნივერსიტეტის მთავრობას აღარ შეეძლო ამ აღშფოთებულის სტუდენტების დამშვიდება. მალე კარები გაანგრიეს მეზობელ სადგომში და, ამნაირად, ორივე აუდიტორია ხელში დაიჭირეს; შემდეგ დაიწყეს კარეთა ფანჯრების მსხვრევა; საიდგანაც გზავნიდნენ ოც ოც კაცს ტანისამოსის ოთახში პალტოების მოსატანად, რათა გამთბარიყვნენ და ღამეც გაეთიათ როგორმე. აუდიტორიაში გაისმოდა შუშების მსხვრევის ხმა და არეულ ბრბოს ყვირილი.

რადგანაც შფოთი ძლიერდებოდა, ამიტომ მომხდარ ამბავზე მოახსენეს გენერალ-გუბერნატორს, რომელმაც, რაკი გაიგო, რომ უნივერსიტეტის მთავრობას თითონ არ შეუძლიან დაუყოვნებლივ მოსპოს უწესობა, მაშინვე განკარგულება მოახდინა რაზმი გაეგზავნათ უნივერსიტეტში და მიანდო ვიცე-გუბერნატორს და საგუბერნიო ჟანდარმის მმართველობის უფროსს, აეწერათ ყველანი, ვინც მონაწილეობა მიიღეს კრებაში, დაეთხოვნათ ისინი თავთავიანთ სახლებში და დაეტუსაღებინათ ყველანი, ვინც ამ ბრძანებას არ დაემორჩილებოდა. 7½ საათზე ჯარის-კაცები დადგნენ უნივერსიტეტის ყველა გასავლებში და წრე შემოავლეს სტუდენტებისაგან დაჭერილ აუდიტორიებს. სტუდენტები ძალიან თავხედად, მტრულად დახვდნენ აუდიტორიაში შესულ უფროსებს, მაგრამ შემდეგ, ჯარის დანახვაზე, უფრო თავ-დაჭერით და ზრდილობიანად მოიქცნენ. ამისდა მიუხედავად, როცა სტუდენტებს წინადადება მისცეს, რომ ისინი ცალკ-ცალკე ჯგუფებად გაყოფილიყვნენ, ფაკულტეტების მიხედვით, სტუდენტებმა უპასუხეს, რომ არ გამოვალთ აუდიტორიიდგან, სანამ ჩვენთან რექტორი არ მოვა და არ მოისმენს კრების დადგენილებას, თუ რექტორი მოვა, მაშინ შევასრულებთ უფროსების მოთხოვნასაო. რათა ძალის ხმარება აეცილებინა თავიდგან, გუბერნატორმა და ჟანდარმთა მმართველობის უფროსმა დასტოვეს აუდიტორია, წავიდნენ რექტორთან და სთხოვეს მისულიყო სტუდენტებთან, რომელნიც ამ დროისთვის ცოტათი კიდეც დამშვიდდნენ. როცა რექტორი შევიდა აუდიტორიაში, ერთმა სტუდენტთაგანმა მიჰმართა სიტყვით, რომელშიაც გამოსთქვა კრების შემდეგი დადგენილებანი: 1) კრება თხოულობს, რომ კიევის უნივერსიტეტის სტუდენტები არ ისჯებოდნენ კარცერში დაპატიმრებით, 2) კრება თხოულობს, რომ ორივე დათხოვნილი ამხანაგი ისევ მიღებულ იქმნან უნივერსიტეტში და 3) თუ ეს მოთხოვნანი არ იქნება შესრულებული, კრებამ დაადგინა მოახდინოს იანვარში „საერთო ობსტრუქცია“. ამის პასუხად რექტორმა აუხსნა უსაფუძვლობა სტუდენტების მოთხოვნილებათა, რის შემდეგაც იმ სტუდენტმა, რომელმაც კრების სახელით ილაპარაკა, თავისი თავი დაკმაყოფილებულად გამოაცხადა, ამის შემდეგ ყველანი, ვისაც კრებაში მონაწილეობა მიეღოთ, ასწერეს ჯგუფ-ჯგუფად, ოცდა-ათ-ათი კაცი ყოველ ჯგუფში, და იმავე რიგით სახლებში გაისტუმრეს. სულ ასწერეს 396 კაცი, მათ შორის — ერთი სტუდენტი სხვა უნივერსიტეტისა, ორი თავისუფალი მსმენელი და ერთიც სხვა, რომელსაც უნივერსიტეტის კურსი უკვე დასრულებული ჰქონდა.

ამ რიგად, როგორც ზემოხსენებულიდგან სჩანს, კრებებზე მონაწილეობას იღებდა 250-დგან 700-მდე სტუდენტი; ეს რიცხვი შეადგენს უმცირესობას, რადგანაც უნივერსიტეტში სულ 2700 სტუდენტზედ მეტია, ეს უმცირესობა ხელს უშლიდა სხვა სტუდენტების სწავლას. ინსპექციის შენიშვნით, ყველა კრებებზე უმთავრესს მონაწილეობას იღებდნენ და მეთაურობას სწევდნენ თითქმის ერთი და იგივე სტუდენტები.

ყველა ამის გამო, საერთო განათლების მინისტრმა 8 დეკემბრის დეპეშით წინადადება მისცა კიევის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს — დასაჯოს არეულობაში მონაწილეობის მიმღები სტუდენტები სამხედრო სამსახურში განწესებით, 1899 წლის 29 ივლისის უმაღლესად დამტკიცებულის კანონის ძალით.

კანონის თანახმად შემდგარმა განსაკუთრებულმა საბჭომ, რომლის წევრებადაც იყვნენ წარმომადგენელნი საერთო განათლებისა, შინაგან საქმეთა და სასჯულო საქმეთა სამინისტროსი, 15 სხდომა მოანდომა 11-დგან 31 დეკემბრამდის ამ საქმის განხილვას, ჩვენება ჩამოართვა ყველას, ვინც 7 დეკემბრის უწესობაში მონაწილეობა მიიღო, მოისმინა რა დამსწრეთა წერილობითი ჩვენებანი, ხმის უმეტესობით დაადგინა: დამნაშავედ იქმნენ ცნობილი წმ. ვლადიმერის უნივერსიტეტის ყველა სტუდენტები, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს 7 დეკემბრის უწესობაში, გამორიცხნენ უნივერსიტეტიდგან და ჩარიცხნენ სამხედრო სამსახურში სხვადა-სხვა ვადით: ა) ორი სტუდენტი — სამის წლით, ბ) ხუთი სტუდენტი — ორის წლით და გ) ყველა დანარჩენი, რომელთა შორის ურევია ერთი სხვა უნივერსიტეტის სტუდენტიც, რიცხვით 385 სტუდენტი, — ერთის წლით, და ეს დადგენილება წარედგინოს საერთო განათლების მინისტრს დასამტკიცებლად.

საერთო განათლების მინისტრმა, განიხილა-რა წარდგენილი ოქმები და განსაკუთრებულ საბჭოს დადგენილებანი თან დართულ საბუთის ქაღალდებითურთ, შემდეგი საბოლოო გარდაწყვეტილება დაადგინა: 1) დამტკიცებულ იქმნას განსაკუთრებულ საბჭოს დადგენილება პირველ რიგის ორის სტუდენტისა და მეორე რიგის ხუთის სტუდენტის შესახებ; 2) დამტკიცებულ იქმნას საბჭოს დადგენილება 7 დეკემბრის უწესობაში ჩარეულ მესამე რიგის 176 სტუდენტის შესახებ, რომელთაც მხურვალე მონაწილეობა მიუღიათ 7 დეკემბრის უწესობაში, ანუ ამ უწესობაში მონაწილეობის გარდა, წინად მომხდარ უწესობათა დროსაც შენიშნულნი ყოფილან; 3) ხოლო დადგენილება მესამე რიგის იმ 209 სტუდენტის შესახებ, რომელთაც მხოლოდ ის ბრალი ედებათ, რომ დასწრებიან 7 დეკემბრის უწესობას და წინად მომხდარ უწესობათა დროსაც შენიშნულნი არა ყოფილან, გაუქმდეს და ამ სტუდენტებს საყვედური გამოეცხადოს, ამ საყვედურის დასაჯარიმებელ ჟურნალში აღნიშვნით, აღარავითარი შეღავათი არ მიეცეთ უნივერსიტეტში სწავლის განმავლობაში და ამასთანავე გაფრთხილებულ იქმნენ, რომ თუ კიდევ მიიღეს მონაწილეობა უწესობაში, აწინდელი მათი საქციელი მათის დანაშაულის გამაძლიერებელ გარემოებად იქმნება მიჩნეული.

ახალი ამბავი

⁂ ტფილისში მცხოვრებ ქართულის მუსიკის მოყვარულთ განუზრახავთ ქართულს ენაზედ რუბინშტეინის ოპერა „დემონი“ წარმოადგინონ. თარგმანი ოპერისა უკვე დაუმთავრებიათ და კიდევაც შესდგომიან მზადებასა.

⁂ ორშაბათს, 15 იანვარს, ქალაქის საბჭომ განიხილა სასწავლებელთა კომისიის მოხსენება სასწავლებელთა მკურნალის თანამდებობის დაწესების შესახებ. მოხსენებიდგან სჩანს, რომ ტფილისში 18 ქალაქის პირველ-დაწყებითი სასწავლებელია, 1 სახელოსნო სასწავლებელი და 1 საპროფესიონალო სახელოსნო სკოლა. ამ სასწავლებლებში სულ 2750 ბავშვი სწავლობს. კრებაზედვე წაკითხულ იქმნა ინსტრუქცია, რომლის მე-3 პარაგრაფმა ხანგრძლივი კამათი გამოიწვია. საბჭომ, ამ პარაგრაფის თანახმად, დაადგინა: მიეცეს გამგეობას უფლება სასწავლებელთა მკურნალის დანიშვნისა და დათხოვნისა. ზოგიერთი ხმოსნები სხდომის გათავებამდის გავიდნენ დარბაზიდგან და ქალაქის მოურავმაც სხდომა შესწყვიტა, რადგანაც ხმოსანთა კანონიერი რიცხვი არ იყო; ამ რიგად საბჭომ მოასწრო მხოლოდ ინსტრუქციის 5 პარაგრაფის განხილვა, დანარჩენი შემდეგ კრებისათვის გადაიდვა.

⁂ გაზ. „Россія“ სწერს: ალექსანდრე-ნეველის ლავრაში ლაზარევის სასაფლაოზედ წარსულ საუკუნის დასაწყისში დასაფლავებულ იქმნენ საქართველოს უკანასკნელნი ბატონიშვილნი: კონსტანტინეს ასული ქეთევან, ბატონიშვილის ვახტანგის მეუღლე, ალექსანდრეს ასული მარიამ, ბატონიშვილის მირიანის მეუღლე, ბატონიშვილი გაბრიელი, საქართველოს უკანასკნელ მეფის გიორგი XIII-ს ძე; იმერეთისა: ბატონიშვილი გიორგი და როსტომის ასული დარია. ამ ბატონიშვილთა საფლავები ძრიელ დაძველდნენ. მარმარილოს ძეგლებზედ ამოჭრილი ასოები ნახევრად წაიშალნენ, თვით ძეგლები დანსხვრეულია. რადგანაც 18 იანვარს ასი წელიწადი შესრულდა საქართველოს რუსეთთან შეერთების დღიდგან და რადგანაც სექტემბერში აზრადა აქვთ იდღესასწაულონ ასის წლის შესრულება, საჭიროა ყურადღება მიექცეს პეტერბურგში დასაფლავებულ ქართველ ბატონიშვილთა ნახევრად დაქცეულ საფლავებს; ურიგო არ იქმნება ამ საფლავების შეკეთებისათვის იზრუნოს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობამ“.

⁂ კავკასიის სამოსწავლო ოლქის შუამდგომლობის თანახმად, უმაღლესად ნებადართულ იქმნა სახელმწიფო ხაზინიდგან ყოველ-წლიური შემწეობა აღმოეჩინოს კავკასიის ზოგიერთ სახალხო სასწავლებელთ საპროფესიონალო საგნების სწავლებისათვის მოსახმარებლად.

⁂ ქუთაისის გუბერნიის მთავრობის შუამდგომლობის თანახმად, კოლეჟსკი სეკრეტარი ვ. ბ. ბაქრაძე დამტკიცებულ იქმნა რაჭის მაზრის სადგილ-მამულო გარდასახადთა გამწერ საკრებულოს წევრად თავ. დ.

ულის ზრდა-განვითარებას, მეორე ნაწილი სპექტარისა-კი, რომელიც მიუახლოვდებოდა სითბოს სხივებს (წითელი, მწვანე, ყვითელი), ან სრულებით აჩერებდა ზრდას სხეულისას, ან მეტად მცირედ უწყობდა ხელს.

მეორეს მხრივ, ფიზიოლოგების ყურადღება იყო მიპყრობილი იმის გამორკვევაზედ, თუ რა გავლენა აქვს სინათლეს სხვა-და-სხვა ფიზიოლოგიურ პროცესებზედ, რომლებიც წარმოებენ რთულს სხეულში, რა-ნაირად მიმდინარეობენ ეს პროცესები სხეულში მაშინ, როდესაც უკანასკნელი ბნელს მიდამოშია ჩაყენებული, და რანაირად მიმდინარეობენ, როდესაც ნათელ მიდამოშია. მთავარ ფიზიოლოგიურ პროცესს სხეულისას, როგორც ვიცით, შეადგენს ეგრედწოდებული ალებ-მიცემობა ნივთიერებათა. ცნობილია, რომ სხეული ერთის მხრივ მიიღებს საზრდელს, საკვებავს, რომელსაც, შემდგომ შემუშავებისა და სისხლად გარდაქმნისა, დაატარებს ყველა სხეულის ნაწილებში, რათა თვითოეულმა ნაწილმა სხეულისამ ანუ უჯრედმა მიიღოს იქიდგან საკვებავი, ხოლო მეორე მხრით სხეული განაგდებს სხვა-და-სხვა გამომტან ორგანოებით იმ ნაშთებს, რომლებიც უვარგისნი და მავნებელნი არიან მისთვის. სხეულიდგან გამონადენი უვარგისი ნაშთი მიღებულის საკვებავისა უბრალო ნაშთი-კი არაა, არამედ იგი არის ქიმიურად შეცვლილი ნივთიერება. მაშასადამე, ქიმიური სახე მიღებულის საკვებავისა სრულიად გასხვაფერდება სხეულიდგან გამონადენ ნივთიერებათა ქიმიურის სახიდგან. რამდენადაც მუყაითად სწარმოებს სხეულში ეს ქიმიური გარდაქმნა, ანუ მეტამორფოზი ნივთიერებათა, იმდენად, მაშასადამე, მძლავრად და წესიერად უწარმოვნია მთავარს ფიზიოლოგიურს პროცესს — ნივთიერებათა ალებ-მიცემობას. თუ სხეულში მიღებული საკვებავი არ დაირღვა, არ შემუშავდა, ერთის სიტყვით, არ შეიცვალა სახე, არამედ პირვანდელისავე სახით განგდებულ იქმნა სხეულიდგან, მაშინ ვერც-ვერას ისარგებლებდნენ სხეულის უჯრედები იქიდგან და თუ ამისთანა მდგომარეობამ სხეულისამ დიდხანს გასტანა, სხეული ადრე თუ გვიან აუცილებლად უნდა გამოესალმოს წუთი-სოფელს.

როგორ უნდა დავრწმუნდეთ, რომ სხეულში მეტად ძალუმად სწარმოებს ეგრედწოდებული ნივთიერებათა ალებ-მიცემობა, ანუ მეტამორფოზი? — სულ უბრალო საშუალებით. საკმარისია აწონვა მიღებულის საკვებავისა და აწონვა და ქიმიური გამოკვლევა განგდებულისა. ამისათვის სწავლულები ჰხმარობენ ერთგვარ კამერებს, ანუ ყოველ მხრივ დახშულს ოთახებს, რომელშიაც ათავსებენ სხვა-და-სხვა საცდელს ცხოველებს; საჭმელსა და ჰაერს აძლევენ წონით და აგრეთვე ჰსწონავენ და იკვლევენ შარდს, ამოსუნთქ ჰაერს და სხ. სხეულისათვის ყველაზედ უსაჭიროესს საკვებავს შეადგენენ მჟავბადი (0) და აზოტი (№); პირველი საჭიროა სხეულისათვის, რათა დაწვას ყველა უვარგისი და, მაშასადამე, სხეულისთვის მავნე ქიმიური სხეულნი, რომელნიც მუდამ იბადებიან სხეულში როგორც შედეგნი მიღებულის საჭმლის დარღვევისა; უმჟავბადოდ ეს შხამიანი სხეულნი უსათუოდ მოსწამლავდნენ სხეულს, მჟავბადი-კი მათ ქიმიურად სცვლის და აქედგან ჰბადებს სრულიად უვნებელს სხეულებს, რომლებიც სხვა-და-სხვა გამომტან ორგანოებით განვლიან სხეულიდგან. აზოტი-კი საჭიროა აღსადგენად თვითოეულის უჯრედისა, რადგან უჯრედი თავად შესდგება აზოტისაგან და თავისის სიცოცხლის განმავლობაში ბევრს შემადგენელ ნაწილს ჰკარგავს. როგორც მავნე სხეულისთვის ნივთიერებანი, გამომტან ორგანოებით სხეულიდგან გამოიტანებიან ნახშირის სიმჟავე (CO_2), შარდივანი, შარდივანის სიმჟავე, წყალი და სხ. გამოჩენილმა ფიზიოლოგმა მოლეშოტმა შეამჩნია, რომ ბაყაყები, როდესაც სინათლეში იმყოფებიან, მეტს ნახშირ მჟავეს ამოისუნთქავენ, ვიდრე როდესაც სიბნელეში არიან. მას შემდგომ მოხდენილმა მრავალმა ცდამ დაამტკიცა მოლეშოტის აზრი და აგრეთვე ისიც, რომ შესუნთქვითაც მეტს ჰაერს შეისუნთქავს ცხოველი, როდესაც სინათლეშია მოთავსებული. ამასთანავე აღმოჩნდა, რომ ეს ძლიერი შესუნთქვა და ამოსუნთქვა უფრო ძლიერად სწარმოებს, როდესაც ცხოველი მოთავსებულია იის ფერ მიდამოში. უკანასკნელ დროს კოგანისა და გოდნევის-მიერ მოხდენილ ცდათაგან აღმოჩნდა, რომ ნაცადი ცხოველები (ძაღლები) მეტს აზოტიურს ნივთიერებას ჰნთქავდნენ სინათლეში და აგრეთვე მეტს შარდს იძლეოდნენ, ვიდრე სიბნელეში. მათგანვე იქმნა გამორკვეული, რომ წითელი ფერი ასუსტებს ამ პროცესს, მწვანე ამ მხრივ დაბლა სდგას თეთრზედ, ყვითელი და იის ფერი მეტად ძლიერ უწყობენ ხელს, სიბნელეში კიდევ სულ მთლად სუსტდება იგი. ცეხანოვსკიმ და გოდნევმა მოახდინეს რამდენიმე დაკვირვება ადამიანის სუნთქვასა და მაჯის ცემაზედ სინათლესა და სიბნელეში, და გამოაქვეყნეს, რომ სუნთქვა სინათლეში ძლიერია, მაჯის-ცემა ხშირია, სიბნელეში კი სუნთქვა სუსტია, მაჯისცემა იშვიათია.

ამ სახით ვხედავთ, რომ სინათლეს რაღაც გამაცხოველებელი გავლენა ჰქონია ყველა ფიზიოლოგიურს პროცესზედ, რომლებიც ყველა ცხოველ არსებაში სწარმოებენ. ამ შემთხვევაში ექსპერიმენტალური გამოკვლევანი სრულიად ეთანხმებიან სტატისტიკურს დასკვნას და ჩვენ ყოველდღიურ დაკვირვებას. მუშა-ხალხი, რომელიც იძულებულია მომეტებული ნაწილი თავისის სიცოცხლისა გაატაროს ფაბრიკებსა და ქარხნებში, სადაც სამუშაო ოთახები დახშულია და მოკლებული სინათლეს, მეტად საცოდავს სურათს წარმოადგენს: იმათი ჩამომხმარი, ყვითელი, უხალისო სახე ამტკიცებს, რომ სხეული მოჰშლიათ, მოჰწამლვიათ, რადგან იგი მოკლებული იყო დიდხანს ერთს გამაცხოველებელს პირობათაგანს — სინათლეს. ახლა იმას შეადარეთ სოფლელი გლეხი, რომელსაც კვება და ბინა თუ არ უვარგისი, უკეთესი მაინც არა აქვს პირველზედ, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, იგი ფიზიკურად განვითარებულია და საღია. მაგრამ ყველაზედ უფრო თვალსაჩინო მაგალითს სინათლის ნაკლებულობისას წარმოგვიდგენს დიდ კაცობა, რომელიც მომეტებულს დროს სახლში იმყოფება და არა გარეთ და ამიტომაც, სხვა მხრიდგან მისის გონივრულის ცხოვრების მიუხედავად, სინათლის ნაკლებულობა ფრიად ემჩნევა უფერო სახეზედ.

მ. მირ—ლი

(დასასრული იქმნება)

ა. ყიფიანის მაგივრად, რომელიც უკვე დამტკიცებულია რაჭის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლად.

⁂ განზრახვა აქვთ, პარასკევს, 19 იანვარს, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების საბჭოს წევრთა კრება მოიწვიონ მომავალ სამეურნეო სამრეწველო საქმეების გამო მოსალაპარაკებლად. გამოფენის პროგრამა ჯერ კიდევ არ წარუდგენიათ მიწად-მოქმედების სამინისტროსათვის დასამტკიცებლად, ხოლო გამოფენის გამართვამდე სულ რამდენიმე თვეღაა.

⁂ ქუთაისის კლუბში ამ დღეებში გამართული იქნება ბალი შეუძლებელ თავად-აზნაურთა შვილების სასარგებლოდ.

⁂ ფინანსთა სამინისტროს ამ დღეებში სახელმწიფო საბჭოში შეუტანია თამბაქოს წესდების ახალი პროექტი. ამ პროექტით უმთავრესად შეცვლილ იქმნება აწ არსებულ წესდების ის მუხლები, რომელიც ეხება სხვა-და სხვა ხარისხის თამბაქოს აქციზსა.

⁂ კავკასიის საფილოქსერო კომიტეტის 1901 წლის ხარჯთ აღრიცხვა შემცირებულ იქმნა, ამის გამო გაუქმებულ იქმნება ზოგიერთ ინსტრუქტორთა თანამდებობანი.

⁂ ტფილისის პოლიცმეისტერის განკარგულებით პუშკინის ქუჩაზედ სანოვაგით და საქონლით ვაჭრობა აღკრძალულ იქმნა. ამის გამო ქალაქის გამგეობას განუზრახავს, იარმუკაზედ საზოგადო დუქანი გამართოს, რომ ქალაქის ღარიბ მცხოვრებთ საშუალება მიეცეს ამ დუქანში ჰყიდონ თავიანთი ხელ-საქნარი და სანოვაგე.

⁂ 21 იანვარს, ქუთაისის თეატრში დანიშნულია ბენეფისი მსახიობ ქალის ნ. ჩხეიძისა.

⁂ ქალაქის სახელოსნო სასწავლებლის დირექტორმა მისწერა ქალაქის სასწავლებელთა კომისიას, რომ ტფილ. გუბერნიის სახალხო სკოლების ინსპექტორის მოწერილობის თანახმად, 15 იანვრიდან, უნდა გადაკეთდეს სახელოსნო სკოლა ისე, რომ სწავლა მარტო რუსულ ენაზე სწარმოებდეს და უნდა გაუქმდეს სასწავლებლის ქართულ-სომხური განყოფილებანიო; ამიტომ გთხოვთ გვიჩვენოთ, როგორ მოვიქცეთ ამ შემთხვევაშიო. კომისიის თავმჯდომარემ ეს ქაღალდი გადასცა ქალაქის მოურავს. მოურავმა შეატყობინა დირექტორს შემდეგი; „თუ სახალხო სკოლების ინსპექტორს თავისის ძალით ნება აქვს დამოუკიდებლად მოახდინოს ცვლილება სახელოსნო სასწავლებელში, ქალაქის თვით-მმართველობის დაწესებულებათ არ შეუძლიანთ და არც უნდა გაუწიონ წინააღმდეგობაო. სახელოსნო სკოლის გადაკეთების შესახებ საკითხს გამგეობა წარუდგენს ქალაქის საბჭოს განსახილველად.

⁂ ტფილისში არსდება სამთო სამრეწველო საზოგადოება, რომელსაც აზრადა აქვს მოსძებნოს და შეიმუშაოს მადნეულობა ამიერ კავკასიაში. საზოგადოებას თანხად მილიონი მანეთი აქვს.

⁂ სახაზინო პალატის განკარგულებით, დაარსდა საგანგებო კომისია, რომელმაც უნდა მოაწყოს საერობო გადასახადის განაწილებისა და მოკრების საქმე ტფილისის სახლის პატრონთა შორის.

⁂ დღეს, 17 იანვარს, ქალაქის გამგეობისა და საფინანსო კომისიის შეერთებული სხდომა განიხილავს და შეადგენს ქალაქ ტფილისის 1901 წლის შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვას.

⁂ ოთხშაბათს, 15 იანვარს, გორის მაზრის სოფელ მეჯვრისხევის მცხოვრები გლეხი გიორგი მოსეს ძე ბაბანაშვილი შეპარულა ტფილისის მოქალაქის ქვრივის ანასტასია მათეს ასულის ხარჩევსკისას და მოუპარავს სხვა-და-სხვა ნივთები 45 მანეთისა. პოლიციის მოხელეებმა მალე იპოვნეს გიორგი ბაბანაშვილი, დააპატიმრეს და პასუხის გებაში მისცეს.

შეცდომის გასწორება. „ივერიის“ მე-11 №-ში შემდეგი კორექტურული შეცდომა მოგვსვლია: „კრიტიკა და ბიბლიოგრაფიის“ უკანასკნელ სტრიქონში დაბეჭდილია: „აზიანის კომედიების თხზვას“ უნდა იყოს: „აზრიანის კომედიების თხზვას“.

თეატრის მატიანე

ოპერა. ოთხშაბათს, 15 იანვარს, ტფილისის სახაზინო თეატრის არტისტებმა ტფილისის სცენაზედ პირველად წარმოადგინეს „Кавказскій Плѣнникъ“ ო, პ. 3 მოქმედ., მუს. ცეზარ კიუისა. ოპერის შინაარსი აღებულია რუსეთის დიდებულ პოეტის პუშკინის ნაწარმოებიდგან: „Кавказскій Плѣнникъ“, რომლის შინაარსიც ყოველგანვე ყველამ კარგად უწყის. ოპერა საზოგადოდ კარგია და ხელოვნურის შემუშავებით ევროპიელ კომპოზიტორების ნაწარმოებს ბევრით არ ჩამოუვარდება; ადგილ-ადგილას-კი მომხიბლველიც არის. შესრულებით თავისი როლი უმთავრეს მომქმედ პირთ: სიბირიაკოვმა (კაზენბეკი), ქ-ნმა რადინამ (ფატიმა, კაზენბეკის ქალი), კამიონსკიმა (თავ. აბუბეკერი) და ბოროსენკომ, ტყვე რუსი კარგად შეასრულეს და რამდენჯერმე კიდევაც გამოწვეულ იქმნენ მოწონების ნიშნად.

მესამე მოქმედებაში, სხვათა შორის, კავკასიური ცეკვა და ლეკური ბალეტის მოთამაშე ქალებმა შეასრულეს ქ ნის ბაინკასი და ბ ნის ტროიანსკის მონაწილეობით, მაგრამ, გამოვტყდებით, ლეკურის იქ არა იყო-რა. ჩაცმულობა და სცენის მოწყობილობა, ზოგიერთა წვრიმალების გარდა, შესაფერი იყო სამსავე მოქმედებაში, ხალხი ბლომად დასწრო, თეატრი თითქმის სავსე იყო.

დამოუკიდებელი

სასამართლოს მატიანე

შაბათს, 13 იანვარს, ტფილისის სამოსამართლო პალატის პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტმა განიხილა საქმე ლეჩხუმის მაზრის სოფელ სასაში მცხოვრების მიხეილ ბეკოს ძის ონიანისა, რომელსაც შემდეგი დანაშაულობის ჩადენა ჰბრალდებოდა: 1898 წლის 7 აპრილს სოფ. მენეში ერთს სახლში ყოფილან მიწვეულნი მიხეილ ონიანი, გიორგი გველებიანი და სხვანი. სადილს შემდეგ გველებიანს აუღია ჯოხი და დაურტყავს ონიანისთვის, ამაზედ გამწარებულა მიხეილ ონიანი, უძვრია ხანჯალი და გველებიანისთვის გაუჩეხია თავი; რამდენისამე დღის შემდეგ გველებიანი ამ ჭრილობისაგან გარდაცვლილა. ქუთაისის ოლქის სასამართლოში საქმის გარჩევის დროს გამორკვეულა, რომ გველებიანსა და ონიანს ერთმანეთში მტრობა ჰქონიათ, რადგანაც გველებიანის ძმის გიორგის ცოლი მოუტაცნია მიხეილ ონიანის მამას, რომელსაც ამ ქალისაგან ჰყოლია მიხეილი. ოლქის სასამართლოს ონიანი დამნაშავედ უცვნია გველებიანის დაჭრაში და გარდაუწყვეტია მისთვის განსაკუთრებულ უფლება-უპირატესობათა ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში 1½ წლით გაგზავნა. სამოსამართლო პალატამ დაამტკიცა სასამართლოს განაჩენი.

შაბათსვე ტფილისის სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე ქუთაისის გუბერნიის სოხუმის ოლქის სოფელ ტყვარჩელის მცხოვრების ხაბახ საკუთას ძის თორბაიასი, რომელსაც ბრალდებოდა 1899 წლის ოქტომბერში ახმეტ არგუნიას სახლში მიხტომა და განზრახვა მისის მოკვლისა, და აგრეთვე მის ფაცხის ცეცხლის მიკიდება და გადაწვა. ქუთაისის ოლქის სასამართლოს, განუხილავს რა ეს საქმე, გარდაუწყვეტია: ჩამოერთვას თორბაიას ყოველივე განსაკუთრებულ უფლება-უპირატესობანი და გაიგზავნოს ციმბირის არა შორეულ ადგილებში დასასახლებლად. თორბაიას ოლქის სასამართლოს განაჩენი განუსაჩივრებია სასამართლო პალატაში, სადაც მისმა ვექილმა ბ-ნმა ოპოჩინინმა ითხოვა მისი სასჯელის შემცირება. პალატამ, მცირე ხნის შემდეგ, გამოაცხადა განაჩენი, რომლითაც დამნაშავედ იქმნა ცნობილი ხაბახ თორბაია არგუნიას მოკვლის განზრახვაში და მისი ფაცხის გადაწვის საქმეში, რისთვისაც უნდა ჩამოერთვას ყოველივე განსაკუთრებული უფლება უპირატესობანი და გაიგზავნოს პატიმართა გამასწორებელ რაზმში 4 წლით.

ამავე დღეს პალატამ დაამტკიცა ტფილისის ოლქის სასამართლოს გარდაწყვეტილება, რომლითაც დუშეთის მაზრის სოფელ ზაქაროს მცხოვრებს ვასილ ალექსისძეს ფილიშვილს მიესაჯა ყოველივე განსაკუთრებულ უფლება-უპირატესობათა ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში 1½ წლით გაგზავნა. ფილიშვილს ბრალად ის ედებოდა, რომ მან 1900 წლის 19 მაისს ქ. ტფილისს საროსკიპო სახლში ჩხუბის დროს დასჭრა ხანჯლით ტფილისის მცხოვრებნი: ბაგრატ ხეჩატუროვი თავში, ექვთიმე კედელაშვილი ხელში და გიორგი სერებრიაკოვი წელში.

ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

3 იანვარს სწორედ 150 წელიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც რუსულს სცენაზედ პირველად „ჰამლეტი“ წარმოადგინეს. ესეც-კია, რომ ამ „ჰამლეტს“ შექსპირის „ჰამლეტთან“ საერთო თითქმის არაფერი ჰქონია. ავტორმა სუმაროკოვმა კი არ გადმოსთარგმნა ეს პიესა, გადმოაკეთა, როგორც თითონა სწერდა, „ინგლისელ მწერლის ბატონ შექსპირის თხზულებიდგან“. ამასთან თვით სუმაროკოვი ყოველთვის ამბობდა, რომ ჩემს ტრაგედიაში „მხოლოდ ცოტა რამ დავტოვე შექსპირისაო“. მართლაცა და რუსთა პირველ დრამატურგის თხუზულებაში შექსპირის პიესას სულ ვერ იცნობთ. საკმაოა მოვიხსენოთ, რომ სუმაროკოვის „ჰამლეტი“ ოფელიასა და ჰამლეტის დიალოგით თავდება. ფარდის ჩამოშვებისას ოფელია ეუბნება ჰამლეტს „წადი ჩემო თავადო, ეკკლესიაში,—ხალხს გამოეცხადე; მე-კი წავალ ბუნების წინაშე უკანასკნელის ვალის გადასახდელად“.

* * *

ყველაზედ ახალგაზდა არტისტი მთელ დედამიწის ზურგზედ დღეს ამერიკელი რიჩარდ ბარასკელია. ამ „მსახიობმა“ ხუთის კვირისამ დაიწყო სცენაზედ „მოღვაწეობა“. ეძლეოდა კვირაში 50 მანეთი. დღეს ბარისკელი 1½ წლისაა და კვირაში 70 მანეთი ეძლევა. ამ ბავშს ბუნებით საოცარი სიცილის ნიჭი აქვს დაყოლილი, ტირილით-კი სტირის მხოლოდ მაშინ, როდესაც ამას როლი თხოულობს, ამ ჟამად დიკი (ასე ეძახიან პატარა „არტისტს“) ჯემს გერნსის დასშია, რომელიც ნიუ-იორკში ჰმართავს წარმოდგენებს. პატარა მსახიობი საზოგადოებას იმდენად მოსწონს, რომ იმისათვის განსაკუთრებულ პიესებს ადგენენ.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

15 იანვარი

პეტერბურგი. კადეტთა საზღვაო კორპუსის დარბაზში გუშინ საიუბილეო სადილი იქმნა გამართული, რომელსაც 750 კაცი დაესწრო. წინა დღით ნაკურთხი დიდებული ბიუსტი ფლოტის დამაარსებლის პეტრე დიდისა დარბაზს ამშვენებდა. პატრიოტული ისტორიული სიტყვა ზღვაოსნად ნამყოფის ე. ვ. ბოგდანოვიჩისა კრების სურვილისა თანახმად ცალკე ფურცლებად იქმნება დაბეჭდილი, რომ ზღვაოსან ახალგაზდათა შორის გავრცელებულ იქმნეს.

ლონდონი. კიტჩინერი დეპეშით იუწყება პრეტორიიდგან: „გენერალს კუნნინგამს გუშინ მიდელფონტენთანა და კოპერფონტერთან დელარეის ჯართან ბრძოლა მოუხდა; ბასინგტონმა ვენტერსდორპიდგან ჩრდილოეთისაკენ დაიწია და ბურების ერთს ნაწილს თავდასხმას უპირებდა; ამის გამო ბურებმა დასავლეთისაკენ დაიხიეს. ბრიტანელთ ორი აფიცერი და 37 ჯარის-კაცი დაუჭრეს; მოუკლეს ოთხი ჯარის-კაცი. ლიხტენბურგთან 4 იანვარს მომხდარ ბრძოლის დროს სამი მოუკლავთ და ორი დაუჭრიათ; იომანრების რამდენიმე კაცი ტყვეთ წაიყვანეს, მაგრამ შემდეგ ისევ განათავისუფლეს. სმიტ დორიენი, რომელიც ვორტერფონტენიდგან კაროლინში მივიდა, სადაც ბურები იყვნენ, ბრძოლაში იქმნა ჩათრეული; ბრძოლამ ხუთს საათს გასტანა. მტრის ჯარი, რომელსაც მდინარის ნაპირი ეჭირა, სიმაგრიდგან განდევნილ იქმნა. ინგლისელებს ერთი აფიცერი მოუკლეს, დაუჭრეს ორი აფიცერი და 13 ჯარის-კაცი“.

ბერლინი. ცინტაუდგან ამბავი მოვიდა, რომ ცზიაოჩჟოუს გუბერნატორი გარდაცვლილა.

ლონდონი. იმპერატორმა ვილჰელმმა აცნობა ლორდს სალისბიურსა და ლორდს რობერტსს, რომ იგი ინგლისის ფელდმარშლად იქმნა დანიშნული და ამასთანავე თავისი კმაყოფილება გამოსთქვა იმის გამო, რომ ინგლისის მეფეს ასეთი მეგობრული დამოკიდებულება აქვს მასთან. სალისბიურმა და რობერტსმა თავისს მხრივ შემდეგ პატივისცემით მიულოცეს და მადლობა გადაუხადეს, რომ მარშლის ღირსება და წოდება მიიღო.

16 იანვარი

პეტერბურგი. საზღვაო კორპუსში 15 იანვარს, უავგუსტოესის შეფის დიდის მთავრის ალექსეი ალექსანდრის ძის თანადასწრებით, სადღესასწაულო აქტი იქმნა გამართული. დიდმა მთავარმა ალექსეი ალექსანდრეს ძემ წაიკითხა უმაღლესად ბოძებული სოფელი, რომელიც შემდეგის სიტყვებითა თავდება: „ამ შესანიშნავ, კორპუსის არსებობის 200 წლის შესრულების დღეს, დიდად სასიამოვნოა ჩემთვის სიხარული განვაცხადო დარწმუნებული, რომ იმის მოსწავლენი არ უღალატებენ კორპუსის ძველად ნაანდერძევს და ერთგულ სამსახურს გაუწევენ ტახტსა და სამშობლოს. ნიკოლოოზი“. მისის უდიდებულესობის სახელობაზედ გაგზავნილ დეპეშის საპასუხოდ, გუშინ, სადილის დროს, შემდეგი პასუხი მოვიდა: „გთხოვთ, თქვენო უმაღლესობავ, გადასცეთ ჩემი გულითადი მადლობა საზღვაო კადეტთა კორპუსის ყველა ყოფილსა და აწინდელ მოსწავლეებს. დარწმუნებული ვარ, რომ ზღვაოსანთა მოზარდი თაობა ყველგან ღირსეული მემკვიდრენი იქმნება თავის წინაპართა როგორც ხმელეთზედ, ისე ზღვაზედ. ნიკოლოოზი“. შემდეგ კორპუსს მიულოცეს დეპუტაციებმა, რომელთა რიცხვი 55-მდე იყო.

ტვერი. 15 იანვარს ღამე გარდაიცვალა გენერალ-ფელდმარშალი იოსებ ვლადიმირის ძე გურკო.

ნიუ იორკი. როგორც პეკინიდგან იუწყებიან, შენსის პროვინციაში დიდი შიმშილობაა და ჩინელები ათასობით ამოსწყდნენ. მთავრობამ ბრძანება გასცა დაურიგონ ბრინჯი. ელჩებმა მოხსენებანი მიიღეს, რომ ჩინელ ქრისტიანებს სრულიად ისე არ ეპყრობიან, როგორც სხვა ჩინელებს, სჯიან მათ მხოლოდ ამისთვის, რომ მოწყალებას თხოულობენ. ელჩებმა კორჯერმა, სატოუმ და პიმონმა ცინსა და ლიხუნგჩანგის წინაშე პროტესტი განაცხადეს ამგვარ მოპყრობისა გამო. პეკინიდგან მიღებულ უკანასკნელ დეპეშით, იმპერატორის ბრძანებით დაევალა ყველა ჩინელ მოხელესა და ჯარის-კაცს მოეპყრან ჩინელ ქრისტიანებს ისე, როგორც დანარჩენთ ეპყრობიან; წინააღმდეგ შემთხვევაში სიკვდილით დაისჯებიან.

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ 23 ამა იანვარს, შუადღის 12 საათზედ, გამგეობისავე თანადასწრებით, დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა,

რომელზედაც იჯარით გაცემული იქმნება ორის ქვითკირის თავშესაფარის აგების საქმე ტფილისის მე-7 ნაწილში. იჯარა სულ 28,138 მან. 43 კაპეიკისაა.

მსურველთ შეუძლიანთ პირობანი გასინჯონ გამგეობის ამშენებელ განყოფილებაში ყოველ დღე, კვირაუქმეს გარდა, 9-დგან 3 საათამდე.

3 (3—6.—1)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 16-го Января 1901 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე